# საჩემპიონო

საფეხბურთო გაზეთი ოთხშაბათი 6 ოქტომბერი 2004 №232 (2253) ფასი 50 თეთრი



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ნამდვილი ცხოვრების შემოდგომა

ჯიდევ ერთხელ ვადასტურებთ: ამ შემოდგომაზე ჯარგი ფეხბურთი გარანტირებულია. „დინამო" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე საინტერესო, თავის გამოსაცდელ, ჭკუისა და ფეხბურთის სწავლისთვის ჩინებულ მეტოქეებს გადაეყარა

## ნიუკასლი, სპორტინგი, სოშო, პანიონიოსი

UEFA CUP






აი, გუნდები, რომელთა ჯამპანიაშიც, ალბათ, ყველაფერი შეიძლება, გამარჯვებაც, დამარცხებაც და ფრეც – ხოლო იქ, სადაც ყველაფერი შეიძლება, იბრძვი და სწავლობ, ადრინდელისგან განსხვავებით ცხოვრებაც ნამდვილია.

ასე რომ, წინ, უშიშრად და პატიოსნად. ჩვენ ჩვენი ვცადოთ, დანარჩენს ჯი ჯარგი ფეხბურთისა და ნამდვილი ცხოვრების შემოდგომა გამოაჩენს.

## გია გეგუჩაძე

ჩვენ ჯგუფს იოლი ნამდვილად არ ეთქმის, თუმც უფრო ძლიერ ჯგუფში შეიძლება მოვხვედრილიყავით. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა გულშემატკივარი გავახაროთ და მომდევნო ეტაპზე გავიდეთ.

წილისყრის სისტემა ბოლო მომენტში შეიცვალა და ამის გამო „ნიუკასლს" სტუმრად ვეთამაშებით. ინგლისელებთან სწორედ გასვლაზე მირჩევნია თამაში.



## გია გურული: სოშო კონტრშეტევით ჩამოვა

„სოშო" სწრაფ და შემტევ ფეხბურთს თამაშობს. საოცრად ორგანიზებული გუნდია. საშინაო მატჩებისას მეტოქეს გამუდმებით უტევს, სტუმრად კი კონტრშეტევებზე თამაშობს. სწორედ კონტრშეტევებით არის ეს გუნდი გამორჩეული.

„დინამომ" ისეთივე თავდადებით თუ ითამაშა, როგორც „ვისლასთან", ფრანგებს მოუგებს. „სოშო" სულაც არ არის ჩვენებისთვის დაუძლეველი გუნდი.

## დინამოს პირველად ალან შირერი და ნიუკასლი შეასპინძლებენ





# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ. | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნიუკასლი (ინგლისი) | | | | | | | | | | | |
| 2 | სპორტინგი (პორტუგალია) | | | | | | | | | | | |
| 3 | სოშო (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | პანიონიოსი (საბერძნეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | დინამო (საქართველო) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 21 ოქტომბერი | პანიონიოსი — ნიუკასლი<br>დინამო — სოშო |
| 4 ნოემბერი | ნიუკასლი — დინამო<br>სპორტინგი — პანიონიოსი |
| 25 ნოემბერი | სოშო — ნიუკასლი<br>დინამო — სპორტინგი |
| 1 დეკემბერი | სპორტინგი — სოშო<br>პანიონიოსი — დინამო |
| 16 დეკემბერი | სოშო — პანიონიოსი<br>ნიუკასლი — სპორტინგი |

თბილისის „დინამოს" ქომაგებს ლოდინი დასჭირდათ და მერე როგორი. შვეიცარიაში გამართულ უეფას თასის ჯგუფური ეტაპის წილისყრისას წარსულში დიდებულმა იტალიელმა მცველმა ჯუზეპე ბერგომიმ და ფრანგმა ჩინოსანმა ჟან ფურნიე-ფაიარმა რიგის თანახმად ჯერ უძლიერესთა კალათიდან ამოიღეს ბურთულები და ყოველ გამოცხადებულ გუნდს ჯგუფის ნომერი მიანიჭეს, შემდეგ მეორე კალათას მიადგნენ და ასე შემდეგ მეხუთემდე, სადაც „დინამო"-ბურთულა „ფერენცვაროშ", „სტანდარდ", „ეგალეო", „ალკმაარ", „ზენიტ", „ბევერენ" და „აუსტრია" ბურთულებთან ერთად გორავდა. და თქვენ წარმოიდგინეთ, „დინამოს" ბედმა ამ კალათაშიც ბოლოს ამოსვლა არგუნა ანუ, როდესაც ბერგომიმ „დინამო"-ბურთულას მოჰკიდა ხელი, ყველასთვის ნათელი იყო, რაც ეწერა იქ და რომელ ჯგუფშიც მოუწევდა ერთადერთი შეუვსებელი სტრიქონის შევსება.

ასე და ამგვარად, „ნიუკასლი", „სპორტინგი", „სოშო" და „პანიონიოსი"... „სოშო" და „სპორტინგი" თბილისში მოდიან, ნიუკასლსა და ათენში „დინამო" მიდის. პროგნოზი, ფიქრი და აწონ-დაწონა მომავლისთვის გადავდოთ, დღევანდელ „სარბიელში" კი იმას გთავაზობთ, რაც ცხელ გულზე შეიძლება ითქვას!

# ნიუკასლთან სტუმრობა სჯობს

## გვათამაშეთ გადაჭედილ ეროვნულზე

## უფრო ძლიერს უფრო ჟინით

**მთელი ევროპა და მათ შორის საქართველოც დიდი ინტერესით ელოდა უეფას თასის ჯგუფური ეტაპის წილისყრას. ჩვენნაირი ქვეყნისთვის ეს სხვებზე მეტად განსაკუთრებული რამაა, რადგან დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად გავიტანეთ ევროსარბიელზე თავი ასე შორს.**

**„დინამოს" დიღმის ბაზაზეც სულმოუთქმელობა იყო. ლამის მთელმა გუნდმა ერთად უყურა კენჭისყრის პირდაპირ რეპორტაჟს „ევროსპორტზე", შთაბეჭდილება კი ასეთია...**



***გია გეგუჩაძე,***
***„დინამოს" მთავარი მწვრთნელი:***

— წილისყრის შედეგებზე განსაკუთრებული რეაქცია არ მაქვს, რადგან ამ ეტაპზე სუსტ მეტოქეებზე ფიქრი უკვე გამორიცხულია. ჩვენ ჯგუფსაც იოლი ნამდვილად არ ეთქმის, თითოეულ გუნდს შესწევს იმის ძალა, რომ ღირსეულად წარმოაჩინოს თავიანთი ქვეყანა ამ ტურნირზე. თუმცა ისიცაა, რომ შესაძლებელი იყო, უფრო ძლიერ ჯგუფში მოვხვედრილიყავით. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა გულშემატკივარი გავახაროთ და მომდევნო ეტაპზე გავიდეთ.

**— ახლა ჩვენს მეტოქეებზე დაწვრილებითი ინფორმაციის შეგროვებას შევუდგებით. პირველად „სოშოს" ვხვდებით, ის ძალიან გამოცდილი გუნდი უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ისეთ გუნდებს, როგორებიცაა პსჟ, „მარსელი", „ლიონი" და „ოსერი" არიან, სისტემატურად ეთამაშება.**

— წილისყრის სისტემა ბოლო მომენტში შეიცვალა და ამის გამო „ნიუკასლს" სტუმრად ვეთამაშებით. ისე, ამ გუნდთან სწორედ გასვლაზე მირჩევნია თამაში.

***გიორგი ნემსაძე,***
***„დინამოს" კაპიტანი:***

— ჯგუფურ ეტაპზე სულ ორმოცი გუნდია და შესაძლებელი იყო, რომ მეტ-ნაკლებად ძლიერ ან სუსტ ჯგუფში მოვხვედრილიყავით. ვფიქრობ, საშუალო ჯგუფში მოვხვდით. ძალიან არ მინდოდა, რომ „ლაციო" და „მიდლსბრო" ყოფილიყვნენ ჩვენი მეტოქეები.

**— სამაგიეროდ, „ნიუკასლი" შეგხვდა...**

— „ნიუკასლთან" წარმატების დიდი შანსი არ გაგვაჩნია, მაგრამ სიურპრიზის იმედი კი მაქვს. დინამოელებს ფსიქოლოგიური ბარიერი მოხსნილი გვაქვს და იქნებ, რალაც მოხდეს.

**— ბატე, „სლავია" და „ვისლა" ერთია, მაგრამ ბრიტანეთში გადაჭედილი, ძალიან ხმაურიანი სტადიონის წინაშე თამაში სულ სხვაა...**

— ჯგუფიდან შეიძლება გავიდეთ, შეიძლება ვერა, მაგრამ ის კი ნალდია, რომ „დინამოს" ახალგაზრდა ფეხბურთელები ძალიან დიდ სკოლას გაივლიან — ნებისმიერ შემთხვევაში ეს მატჩები დადებითად წაადგება „დინამოს".

**— ბანალური შეკითხვაა, მაგრამ მაინც, „დინამოს" შანსებს როგორ შეაფასებდი?**

— შინაგანად ყველა დინამოელშია წარმატების იმედი. ისე, საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება გულშემატკივრის ფაქტორიც.

**— ეროვნული სტადიონი მხოლოდ 20 ათას მაყურებელს დაიტევს და ვერ გაივსება, „ლოკომოტივზე" კი 25 600 მაყურებელი შეიკრიბება — სად გირჩევნია თამაში?**

— იქ, სადაც ტრიბუნები გადაჭედილი იქნება. ძალიან მწყდება გული, რომ ეროვნულ სტადიონზე არასაკმარისი ინდივიდუალური სკამების გამო გულშემატკივართა რაოდენობა შეზღუდულია.

**— „ნიუკასლის" გარდა სტუმრად „პანიონიოსთან" გიწევთ თამაში...**

— „პანიონიოსი" „პანათინაიკოსი" თუ „ოლიმპიაკოსი" არ არის და მასთან ტოლ-სწორი ბრძოლა და კარგი შედეგის მიღწევა მართლაც შეიძლება, იქაურ გულშემატკივართა ზეწოლის გაძლებაც გადაულახავი არ უნდა იყოს.

**— „დინამომ" ახლა თავისი თამაში კი დაიჭირა, მაგრამ შეძლებს კი ამას სტაბილურად? ეროვნულ ჩემპიონატში ხომ ხანდახან მასზე გაცილებით სუსტ გუნდებთან უწევს თამაში...**

— ბევრი სირთულის წინაშე ვდგავართ, რადგან დიდი გუნდი ჯერ არ ვართ. გია გეგუჩაძემ ამას წინათ თქვა, რამდენიმე დინამოელი სულ ცოტა ხნის წინ რეგიონულ ლიგაში თამაშობდაო. ასე რომ, თამაშის დაჭერა „დინამოსთვის" ძნელია, ბევრი გამოცდილი ფეხბურთელიც არ გვყავს, მაგრამ მონდომების ხარჯზე მაინც შეიძლება წინ წავიწიოთ. აუცილებლად დაგვჭირდება გულშემატკივრის მხარდაჭერა. ემოციურობის მომენტი ჩვენთვის ერთობ მნიშვნელოვანია. მე გამოცდილი ფეხბურთელი მეთქმის, მაგრამ „ვისლასთან" მატჩის წინ ისეთი აჟიოტაჟი იყო, რომ დიდი ემოციების ქვეშ მოვექეცი.



***ლევან მელქაძე:***

ჩვენს ჯგუფში ფავორიტი „ნიუკასლი" უნდა იყოს, თუმც „დინამო" ალბათ ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

**— „დინამოს" ახლა უფრო ძლიერი მეტოქეები ჰყავს, ვიდრე საკვალიფიკაციო ეტაპზე და პირველ რაუნდში — რას დაუპირისპირებთ უფრო ძლიერ გუნდებს?**

— ახლა უფრო ძლიერი მეტოქეები კი გველის, მაგრამ ჩვენც უფრო მეტი ჟინით ვითამაშებთ. არავის ჯეროდა, რომ „დინამო" ახლადშექმნილი გუნდით ჯგუფურ ეტაპზე მოხვდებოდა, მაგრამ ფაქტი სახეზეა. მომავალში ალბათ კიდევ გავახარებთ გულშემატკივრებს.

**— „დინამო" არცთუ გამოცდილი გუნდია და სტუმრად მეტოქე გუნდების გულშემატკივრებსაც უნდა გაუძლოს...**

— ბრიტანელი გულშემატკივრების ტემპერამენტი საყოველთაოდ ცნობილია, ისინი მთელი მატჩის განმავლობაში მღერიან და ერთ ამბავში არიან, მაგრამ ჩვენ ამას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ.

**— „დინამოს" მთავარი იარაღი ჯგუფურ ეტაპზეც მონდომება იქნება?**

— მთავარია, გააზრებული ფეხბურთი ვითამაშოთ და თავდაჯერებულნი ვიყოთ, რომ სხვები ჩვენზე მეტნი არ არიან.

**დავით თამართქილაძე**

# მახარაძე და... დარსაძეც?

„ზესტაფონის" მწვრთნელად თემურ მახარაძე ინიშნება. მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და, როგორც გავიგეთ, კონტრაქტიც მალე გაფორმდება. მახარაძე ახლა ზესტაფონშია და იქაურობას ეცნობა. სხვათა შორის, მახარაძესთან ერთად ზესტაფონშია გაიოზ დარსაძეც. მასპინძელთა თქმით, დარსაძე მხოლოდ სტუმრადაა, თუმც ეჭვია, მან და მახარაძემ ერთად ჩაიბარონ გუნდი.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი 16 ლიგა 10 ტური

მცხეთა. 6 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი

**ვიტ ჯორჯია — კოლხეთი**

მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; გ. ვადაჭკორია (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი

მოდით, გავიხედოთ ჩრდილოეთისკენ, სულ ჩრდილოეთისკენ. იქ ინგლისის აღმოსავლეთ კიდეზე, სქოთების საზღვრის ახლოს ძევს ქალაქი ნიუკასლი-ტაინის-პირად, ხოლო ამ ქალაქს ჰყავს „კაჭკაჭები“, შავ-თეთრად ჩაცმული საფეხბურთო კლუბი, რომელსაც ბევრი კი არაფერი მოუგია თავის უგრძეს ისტორიაში, მაგრამ მაინც საქვეყნოდაა ცნობილი ქალაქიცა და კლუბიც.

რატომ?

## ნიუკასლ იუნაიტედი

ნიუკასლი, ინგლისი

დაარსდა 1892 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ფრედი შეპარდი
მთავარი მწვრთნელი: გრემ სუნესი
სტადიონი: „სენტ ჯეიმსიზ პარკი“ (ტევადობა 52 387)
ინგლისის ჩემპიონი (4): 1905, 1907, 1909, 1927
ინგლისის ასოციაციის თასის მფლობელი (6): 1910, 1924, 1932, 1951, 1952, 1955
ინგლისის სუპერთასის მფლობელი (1): 1909
უეფას თასის მფლობელი (1): 1969
ჩემპიონთა თასზე: 24 მატჩი, 11 მოგება, 4 ფრე, 9 წაგება, ბურთები 33:33
თასების მფლობელთა თასზე: 2 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 1 წაგება, ბურთები 2:2
უეფას თასზე: 35 მატჩი, 19 მოგება, 7 ფრე, 9 წაგება, ბურთები 68:34




„ნიუკასლის“ სიმბოლო და დიდმეგოლე ალან შირერი

# ასე შავ-თეთრები და თან ასე ფერადი

იმიტომ, რომ ეს არის ჯორდების ქვეყანა, სულ ჯიგარდამწვარი, უშიშარი, მხიარული და ჯანიანი ხალხისა, რომელსაც უყვარს ლაღი ფეხბურთი და თამაშობს ლაღ ფეხბურთს.

რა ვთქვათ, უკეთ რომ გავიგოთ ამ ხალხისა და ფეხბურთისა? ორი კაცი დავასახელოთ: აქაურები არიან გაზა და ალან შირერი; ბოლო 12 წელიწადს კი ამ გუნდს აკეთებდნენ ლაღი ფეხბურთის ისეთი მწვრთნელები, კევინ კიგანი, კენი დალგლიში და სერ ბობი რობსონი რომ არიან.

რუუდ გულიტის სექსუალურმა ფეხბურთმა ჯორდების „სენტ ჯეიმს პარკზე“ მხოლოდ 7 კვირას გაძლო.

სერ ბობი! ტომით თვითონაც აქედან, აქ ნათამაშევი. ორი კვირაა, რაც დაითხოვეს. გაგეცინებათ და ცუდი სტარტისთვის. „ლივერპულის“ ლეგენდარულ მოთამაშეთა ყოფნა „ნიუკასლის“ სათავეში კი გასამდა: კიგანის და დალგლიშის შემდეგ მენეჯერად გრემ სუნესი დაინიშნა.

აბა, ვინ არ იცნობს გრემს?! ასეთი კაცი ცოტაა და ასეთი ხასიათიც ცოტაა. სწორედაც რომ იმ იშვიათთა რიგს მიეკუთვნება, ფეხბურთის გამო ინფარქტი რომ დამართნიათ პირდაპირი მნიშვნელობით. მაგრამ ეს ადრე იყო, როცა გრემი, ვინც თბილისური „ლივერპულიდან“ უნდა გვახსოვდეს, „ლივერპულს“ თავკაცობდა. იმის შემდეგ დიდი და სახალხოდ პოპულარული გუნდი სუნესს არ ჰყოლია, თუ „ბენფიკას“ არ ჩავთვლით, მაგრამ ცეცხლოვან და ბობოქარ სქოთს ის კი შეეძლო, რომ ჩავარდნილები გადაერჩინა და საშუალოები საშუალოდ დაეტოვებინა.

ჩვენ მივდივართ ნიუკასლში, ჰერი-ჰერი!..

ჯობდა კი, რომ „ნიუკასლი“ გვწვევოდა, რადგან ოჰ, იმდენად ძლიერია შინაური ხასიათი და სული, რომ „ნიუკასლს“ სტუმრად თამაში დიდად არც მოსწონს და არც გამოსდის. განსაკუთრებით ლონდონში და განსაკუთრებით კონტინენტზე. სიმღერაც კია განთქმულ საშობაო ჰანგზე: „ჯინქლ ბულზ, ჯინქლ ბულზ, ნიუკასლ ვონ ევეი...“ ანუ გასვლა მოიგოო, ანუ, შობაც ერთია წელიწადში და გასვლითი მოგებაცაო. ამიტომ გაგვეხარდებოდა.

საპრემიერლიგო ცხრილებში, სერ ბობის ხელში, „კაჭკაჭები“ უცვლელი მეოთხენი იყვნენ, დიდ სამეულს ფეხდაფეხ მისდევდნენ, ოღონდაც საწვავი არ ჰყოფნიდათ, რომ პირველ ადგილზე ასულნი იქ დარჩენილიყვნენ.

ახლა გუნდი მთლად დაწყობილი ვერ არის, სუნესი მაინც ახალი კაცია და თანაც სხვა ხასიათისა, ვინემ სერ ბობი, თუმც მორღვეული გუნდიაო, ვერ იტყვი, ვინც უნდა ჰყავს: უსწრაფესი კრეიგ ბელამიცა და წლეულს დამატებული პატრიკ კლუივერტი, ნიკი ბათიც და კირონ დაიერიც, დამრტყმელი ლორან რობერი, საუცხოო ირლანდიელი მეკარე შეი გივენი და ალან შირერი... შირერი, ჰო.

რას მალაპარაკებთ, კაცო? „ნიუკასლი“ ხომ იცით? თუ დაგიჭირა, თავის ტალღაზე შეგწვავს-შეგახრამუნებს — თვალს არ დაახამხამებს.

არ უნდა დაგიჭიროს. საქმეც ეგ არის...

**ირაკლი გამყრელიძე**



„ნიუკასლის“ მწვრთნელ გრემ სუნესს, ვინძლო, „დინამო“ და თბილისი ახსოვდეს: 1979 წელს თბილისს ნასტუმრებ სუნესს (ქვედა ფოტოზე მარჯვნივ) და „ლივერპულს“ „დინამომ“ 3:0 მოუგო



### გზა ჯგუფურ ეტაპამდე

პირველი რაუნდი

**ჰაპოელი (ისრაელი) 2:0, 5:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 8 | 7 | 1 | 0 | 26:7 | 22 |
| ჩელსი | 8 | 6 | 2 | 0 | 8:1 | 20 |
| ევერტონი | 8 | 5 | 1 | 2 | 9:7 | 16 |
| მანჩესტერი | 8 | 3 | 4 | 1 | 9:7 | 13 |
| ტოტენჰემი | 8 | 3 | 4 | 1 | 5:3 | 13 |
| **ნიუკასლი** | 8 | 3 | 3 | 2 | 16:13 | 12 |
| ბოლტონი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:11 | 12 |
| ასტონ ვილა | 8 | 2 | 5 | 1 | 10:9 | 11 |
| მიდლსბრო | 8 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 11 |
| ჩარლტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:14 | 11 |
| ლივერპული | 7 | 3 | 1 | 3 | 10:6 | 10 |
| სიტი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:7 | 8 |
| პორტსმუთი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:11 | 8 |
| ფულემი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:13 | 8 |
| ბირმინგემი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:9 | 7 |
| ვესტ ბრომვიჩი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:13 | 7 |
| ბლექბერნი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:14 | 6 |
| საუთჰემპტონი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:11 | 5 |
| კრისტალ პალასი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:14 | 5 |
| ნორვიჩი | 8 | 0 | 5 | 3 | 7:14 | 5 |

### მეკარეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | შეი გივენი | 20.04.76 |
| 12 | სტივენ ჰარპერი | 14.03.75 |
| 24 | ტონი კეიჯი | 11.04.74 |
| 47 | ადამ ბარტლეტი | 27.02.86 |
| 59 | ბენ სმიტი | 05.09.86 |

### მცველები

| | | |
|---|---|---|
| 2 | სტივენ კარი | 30.08.76 |
| 3 | რობი ელიოტი | 25.12.73 |
| 5 | ენდი ობრაიენი | 29.06.79 |
| 18 | აარონ ჰიუზი | 08.11.79 |
| 19 | ტიტუს ბრამბლი | 31.07.81 |
| 25 | რონი იონსენი | 10.06.69 |
| 27 | სტივენ ტეილორი | 23.01.86 |
| 35 | ოლივიე ბერნარი | 14.10.79 |
| 39 | მარტინ ბრიტაინი | 29.12.84 |
| 46 | ლაიამ ატკინი | 12.12.86 |
| 49 | კრეიგ ბაქსტერი | 22.09.86 |
| 50 | სტივენ ბრინანი | 26.03.83 |
| 51 | ფილიპ კეივი | 12.05.87 |
| 52 | კრისტოფერ ფარმანი | 04.08.87 |
| 58 | კრისტოფერ შენკსი | 16.10.86 |

### ნახევარმცველები

| | | |
|---|---|---|
| 4 | ნიკი ბათი | 21.01.75 |
| 7 | ჯერმენ ჯენასი | 18.02.83 |
| 8 | კირონ დაიერი | 29.12.78 |
| 16 | ჯეიმს მილნერი | 04.01.86 |
| 17 | დარენ ამბროზი | 29.02.84 |
| 22 | ჯეიმი მაკკლენი | 13.05.79 |
| 29 | ლი ბოიერი | 03.01.77 |
| 32 | ლორან რობერი | 21.05.75 |
| 41 | კრისტოფერ გეიტი | 01.01.85 |
| 54 | დანიელ ჰაუვი | 22.11.85 |
| 56 | ალან ობრაიენი | 20.02.85 |
| 60 | დერილ სმაილი | 10.09.85 |
| 62 | ბენ ვებსტერი | 28.03.86 |

### თავდამსხმელები

| | | |
|---|---|---|
| 9 | ალან შირერი | 13.08.70 |
| 10 | კრეიგ ბელამი | 13.07.79 |
| 11 | პატრიკ კლუივერტი | 01.07.76 |
| 23 | შოლა ამეობი | 12.10.81 |
| 28 | მაიკლ ჩოპრა | 23.12.83 |
| 40 | ლუის გაი | 22.08.85 |
| 48 | გაი ბიტსი | 31.10.85 |
| 53 | კარლ ფინიგანი | 01.10.86 |
| 55 | სკოტ მარშალი | 30.09.86 |
| 57 | მეტ პატისონი | 27.10.86 |
| 61 | მარკ უოლტონი | 24.02.87 |

# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი

## სპორტინგი

ლისაბონი, პორტუგალია

დაარსდა 1902 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ანტონიუ დიაშ და კუნია
მთავარი მწვრთნელი: ჟოზე პეშეირუ
სტადიონი: „ჟოზე ალვალადე" (ტევადობა 65 000)
პორტუგალიის ჩემპიონი (22): 1923, 1934, 1936, 1938, 1941, 1944, 1947, 1948, 1949, 1951, 1952, 1953, 1954, 1958, 1962, 1966, 1970, 1974, 1980, 1982, 2000, 2002
პორტუგალიის თასის მფლობელი (13): 1941, 1945, 1946,1948, 1954, 1963, 1971, 1973, 1974, 1978, 1982, 1995, 2002
პორტუგალიის სუპერთასის მფლობელი (5): 1982, 1987, 1995, 2000, 2002
ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1): 1964
ჩემპიონთა თასზე: 44 მატჩი, 12 მოგება, 10 ფრე, 22 წაგება, ბურთები 58:76
თასების მფლობელთა თასზე: 40 მატჩი, 18 მოგება, 9 ფრე, 13 წაგება, ბურთები 82:49
უეფას თასზე: 85 მატჩი, 40 მოგება, 20 ფრე, 25 წაგება, ბურთები 134:91

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ნელსონ პერეირა | 20.10.75 |
| 12 | ტიაგუ ფერეირა | 16.04.75 |
| 13 | მარიუ ფელგეირაში | 12.12.86 |
| 76 | რიკარდუ პერეირა | 11.02.76 |
| | **მცველები** | |
| 4 | ანდერსონ პოლგა | 09.02.79 |
| 6 | უგო მიგელი | 11.08.76 |
| 14 | ჟოზეფ ენაკარჩირე | 06.11.82 |
| 15 | მიგელ გარსია | 04.02.83 |
| 18 | მარიუ სერჟიუ | 28.07.81 |
| 21 | მარტინიო პაიტო | 05.07.82 |
| 22 | ბეტუ სევერუ | 03.05.76 |
| 23 | რუი ჟორჟე | 27.03.73 |
| 24 | მიგელ ველოზო | 11.05.86 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 5 | კარლუშ მარტინში | 29.04.82 |
| 8 | პედრუ ბარბოზა | 06.08.70 |
| 11 | როდრიგო ტელო | 14.10.79 |
| 25 | პაულუ სერჟიუ | 24.01.84 |
| 26 | ფაბიო როჩემბაკი | 10.12.81 |
| 27 | კუშტუდიუ დე კასტრო | 24.05.83 |
| 28 | ჟოაუ მუტინიუ | 08.09.86 |
| 37 | როჟერიო რეჟისი | 28.02.76 |
| 45 | უგო ვიანა | 15.01.83 |
| 77 | პაულუ ტინგა | 13.01.78 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | მარიუს ნიკულაე | 16.05.81 |
| 10 | რიკარდუ ზა პინტუ | 10.10.72 |
| 17 | რუდოლფ დუალა | 25.09.78 |
| 20 | დანი გომეში | 07.08.83 |
| 31 | ლიდსონ და სილვა | 17.12.77 |
| 32 | ჯალო იანიკი | 05.05.86 |
| 36 | კარლუშ სალეირუ | 25.02.86 |
| 87 | მაურისიო პინილია | 04.02.84 |



ლიდსონ და სილვა და უგო ვიანა

# რას ვერ მოესწრო ჟოზე...
## აჭრილი, მაგრამ მარადიული



მე ვაარსებ ამ კლუბს და მინდა, რომ ის ისეთივე მსოფლიოში სახელგანთქმული შეიქნას, როგორც სხვა დიდი კლუბები დედამიწაზე — თქვა 1906 წელს ჟოზე ალვალადემ და მისი სიტყვები გამართლდა იმიტომ, რომ თუ იცი ფეხბურთი, იცი ლისაბონის „სპორტინგიც"...



„სპორტინგის" უცნობილესი და ევრო 2004-ის გმირი მეკარე რიკარდუ

თუმცა „სპორტინგი" არ არის მხოლოდ საფეხბურთო კლუბი, ის სპორტული კლუბია და ამასვე ნიშნავს, „სპორტინგ კლუბ დე პორტუგალ", ოღონდაც, დიდი სახელი „სპორტინგს" მაინც ფეხბურთმა მოუტანა. ის ერთ-ერთია პორტუგალიის სამ საფეხბურთო ვეშაპთაგან და ჩრდილოურ „პორტუს" და კარის მეზობელ „ბენფიკას" მარად მოცილედ რჩება.

„ბენფიკა" ლისაბონის მუშათა უბნების სამუდამო სიყვარულია, „სპორტინგი" კი გემოა ლისაბონური საფეხბურთო კულტურისა.

აჰ, რა ძლიერ გაიხარებდა სინიორ ჟოზე ალვალადე თავისი სახელობის ახალი სტადიონი რომ ენახა... აჰ, რას გაიხარებდა ამ ევრო-2004-ისთვის აშენებული ეს საოცარი საფეხბურთო სახლი რომ მოეთვალიერებინა...

ცულლუტმა მეკარე რიკარდუმ ხელთათმანები გაიძრო და ისე დაუხვდა ინგლისელების პენალტს. აილო ის პენალტი და ჟოზე ალვალადეს ის გაეხარდებოდა, რომ ეს საქვეყნო გმირი, რომლის შავტუხა სახემაც მთლიანად ამოავსო პორტუგალიური ტელე-სივრცე ამ ზაფხულს, სწორედ მისი „სპორტინგის" მეკარე იყო.

„სპორტინგის" თეთრ-მწვანე რიგებში იხილეს პირველად ლუიშ ფიგუც და, საერთოდ, ამ კლუბის



დიდმა ლუიშ ფიგუმ კარიერა „სპორტინგში" დაიწყო და როგორც ამბობენ, იქვე დაასრულებს

თუნდაც ზერელე ისტორიას გაზეთში ვერ ჩაწერ, ეს კი არის, რომ ლისაბონელი მოკენწლავენი თბილისს ჩამოდიან და თავისუფალი საქართველოს „დინამოს" არცთუ ტკბილად გაახსენდება თავის აქამდელი შეხვედრები უფრო პატარა პორტუგალიურ გუნდებთან — „ბრაგასა" და „ბოავიშტასთან".

ოღონდაც, ეს ვიცოდეთ: წლეულს „სპორტინგი" არ ვარგა და 5 ტურის თავზე ბოლოდან მეხუთეა პორტუგალიურ ცხრილში. თუმც, ის დაეძებს თავის თამაშს და დიდხანს ძებნის დრო არცა აქვს.

გუნდის ყველაზე ბებერი და განთქმული ახლა რიკარდუ სა პინტუ გახლავთ, დიდად გამოცდილი მეგოლე. ბრაზილიელი გუნდში ხუთია, იმათ შორის ჩვენთვის ყველაზე ცნობილნი არიან მცველი ანდერსონ პოლგა (სკოლარის ნაკრებში რიცხული) და ბარსელონაგამოვლილი ფაბიო როშენბაკი. ევროპელი კი „სპორტინგში" ერთია, ყრმა რუმინელი მარიუს ნიკოლაე, მცველი რუი ჟორჟე კი ბევრს ეხსომება.

მოკლედ, „სპორტინგი" თბილისში მოდის არცთუ კარგ იერზე მყოფი, მაგრამ ფეხბურთის თამაში სამარადისოდ იცის და „დინამოსაც" არ თვლის მთავარ მეტოქედ. ეს ჩასაფიქრებელი ამბავია.

**ირაკლი გამყრელიძე**

### გზა ჯგუფურ ეტაპამდე
პირველი რაუნდი
რაპიდი (ავსტრია) 2:0, 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 5 | 4 | 1 | 0 | 8:3 | 13 |
| პორტუ | 5 | 2 | 3 | 0 | 8:4 | 9 |
| მარიტიმუ | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| სეტუბალი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:6 | 8 |
| რიუ ავე | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 7 |
| ბელენენსეში | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| ბოავიშტა | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| პენაფიელი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:10 | 7 |
| ბრაგა | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| ბეირა მარი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ნასიონალი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ლეირია | 5 | 1 | 2 | 2 | 9:9 | 5 |
| ეშტორილი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| **სპორტინგი** | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| მორეირენსე | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 |
| აკადემიკა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| გიმარაეში | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| ჟილ ვისენტე | 5 | 1 | 0 | 4 | 6:8 | 3 |

# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოშო

სოშო, საფრანგეთი

დაარსდა 1928 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ჟან-კლოდ პლესისი
მთავარი მწვრთნელი: გი ლაკომბი
სტადიონი: „სტად დუ ბონალი" (ტევადობა 25 200)
საფრანგეთის ჩემპიონი (2): 1935, 1938
საფრანგეთის თასის მფლობელი (1): 1937
საფრანგეთის ლიგის თასის მფლობელი (1): 2004
1981 წლის უეფას თასის ნახევარფინალისტი
უეფას თასზე: 27 მატჩი, 11 მოგება, 9 ფრე, 7 წაგება, ბურთები 47:26




გი ლაკომბის მთავარი იმედი გატუნისელებული ბრაზილიელი დუშ სანტუშია

**მეკარეები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჟერარ განონი | 12.02.79 |
| 16 | ტედი რიშერი | 21.09.74 |
| 30 | ალექსანდრ მარტინოვიჩი | 31.05.85 |
| 42 | ჟერემი დიშელბორერი | 25.04.86 |

**მცველები**

| | | |
|---|---|---|
| 2 | იბრაჰიმ ტალი | 23.06.81 |
| 3 | გრეგორი პესლი | 07.05.77 |
| 5 | სილვენ მონსორო | 20.03.81 |
| 6 | ლიონელ პოტილიონი | 10.02.74 |
| 21 | სულეიმან დიავარა | 24.12.78 |
| 23 | სედრიკ რეი | 25.08.84 |
| 24 | ამე ლავე | 07.12.84 |
| 27 | ოუმარ დაფე | 12.02.77 |
| 41 | ჟან კალვე | 30.04.84 |
| 46 | მაქსიმ ჟოზე | 21.03.87 |
| 47 | ფაბიენ ლავუა | 29.07.85 |
| 49 | მეთიუ პელეტი | 19.01.86 |

**ნახევარმცველები**

| | | |
|---|---|---|
| 8 | ფაბიენ ბუდარენე | 05.10.78 |
| 10 | უილსონ ორუმა | 30.12.76 |
| 12 | მიკაელ იზაბეი | 20.02.75 |
| 14 | იოჰან ლონფატი | 11.09.73 |
| 17 | რომან პიტო | 08.08.77 |
| 18 | ჟირან ნდოუ | 24.04.84 |
| 20 | სიგამარი დიარა | 10.01.84 |
| 25 | ჟერემი მეთიუ | 29.10.83 |
| 28 | მარსელო ტრაპასო | 30.04.76 |
| 34 | ფრანსის ლორანი | 06.01.86 |
| 40 | სტივ ბერნარდეტი | 21.06.85 |
| 43 | ჰაკიმ ელბონადი | 09.02.86 |
| 44 | მევლუტ ერდინი | 25.02.87 |
| 51 | ბადარა სენე | 19.11.84 |
| 52 | ტუფიკ ზერარა | 03.02.86 |

**თავდამსხმელები**

| | | |
|---|---|---|
| 9 | ილანი | 18.09.80 |
| 11 | დუშ სანტუში | 20.03.79 |
| 19 | ბაზილ დე კარვალიო | 31.10.81 |
| 22 | თომას რენიე | 11.03.84 |
| 26 | ჟერემი მენეზი | 07.05.87 |
| 29 | ჯაიდ ზაირი | 17.04.82 |
| 31 | აჰმედ ფარაგი | 20.05.86 |
| 32 | ვონ-კვანგ ჩოი | 23.08.85 |
| 45 | ბენჟამინ ჟენგინი | 16.12.85 |
| 48 | კევინ ლე ბიგო | 10.02.84 |
| 50 | გაბრიელ როდრიგესი | 24.02.85 |

## პეჟოს საფეხბურთო მანქანა

„სოშო" დაარსდა 1928 წელს და ეს იმიტომ მოხდა, რომ ასე ცნობილმა ავტომეწარმემ, ჟან-პიერ პეჟომ ინება. როგორც ამბობენ, პეჟოს მოწადინებით სწორედ „სოშო" გახდა პირველი ნამდვილად პროფესიული ფრანგული საფეხბურთო კლუბი.

როგორც ჩანს, ამა თუ იმ ფორმით ფეხბურთელებისთვის ფულის გადახდას მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის კლუბები მაინც ახერხებდნენ. პეჟომ კი საქმისადმი მიდგომა შეცვალა და პირდაპირ ხელფასების გაცემა დაიწყო. თავდაპირველ „სოშოს" სათავეში ინგლისელი მწვრთნელი, გერად გიბსონი edგა...

მაგრამ „სოშო" ძალიან დიდხანს პატარა ქალაქის პატარა გუნდად რჩებოდა, რომელიც 70-წლიანი ისტორიის მანძილზე ძირითადად დაბალ დივიზიონებში გამოდიოდა.

2001-2002 წლებში კი გუნდი რიხიანად ავიდა პირველ დივიზიონში — იგი მეორე დივიზიონის ჩემპიონი გახდა. დღეს არავინ კამათობს იმაზე, რომ ამ წარმატებაში ლომის წილი გატუნისელებული ბრაზილიელი თავდამსხმელის დუშ სანტუშის ნიჭმა და გოლების გატანის უნარმა დაიდო.

როგორია „სოშოს" თამაშის სტილი? ის ძირითადად თავდადების და მოედანზე წინ და უკან დაუზარელი მუშაობის ნაზავია.

არასდროს არავის დასცდენია, რომ ეს გუნდი ფრანგულ საკლუბო ფეხბურთში სიმპათიური თამაშით გამოირჩევა. არა, მის მეტოქეებს უფრო ენთუზიაზმთან, ამბიციასთან და უშეღავათო ფიზიკურ ორთაბრძოლებთან აქვთ ხოლმე საქმე.

ასე და ამგვარად, „სოშოს" ფეხბურთის ესთეტიკურ მხარეზე თვით საფრანგეთშიც დავობენ, მაგრამ შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ესთეტიკა ნაკლებად მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

**პაპუნა ძედია**



„სოშოს" მამა ჟან-პიერ პეჟო



ერთი წლის „სოშო"

**გზა ჯგუფურ ეტაპამდე**

**პირველი რაუნდი**

სტაბეკი (ნორვეგია) 4:0, 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 9 | 6 | 1 | 2 | 12:4 | 19 |
| ლიონი | 9 | 5 | 4 | 0 | 11:5 | 19 |
| მონაკო | 9 | 5 | 2 | 2 | 13:9 | 17 |
| ოსერი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:9 | 16 |
| მარსელი | 9 | 5 | 1 | 3 | 10:7 | 16 |
| ბორდო | 9 | 3 | 5 | 1 | 13:5 | 14 |
| მეცი | 9 | 3 | 4 | 2 | 8:12 | 13 |
| ტულუზი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:11 | 12 |
| ნანტი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:7 | 12 |
| ნიცა | 9 | 3 | 3 | 3 | 12:14 | 12 |
| ბასტია | 9 | 3 | 3 | 3 | 8:10 | 12 |
| ლანსი | 9 | 2 | 5 | 2 | 11:8 | 11 |
| კაენი | 9 | 2 | 5 | 2 | 8:9 | 11 |
| **სოშო** | 9 | 3 | 2 | 4 | 8:10 | 11 |
| რენი | 9 | 3 | 2 | 4 | 7:10 | 11 |
| პსჟ | 9 | 2 | 4 | 3 | 12:13 | 10 |
| სენტ ეტიენი | 9 | 1 | 4 | 4 | 10:14 | 7 |
| აიაჩო | 9 | 1 | 4 | 4 | 8:12 | 7 |
| ისტრი | 9 | 0 | 4 | 5 | 4:11 | 4 |
| სტრასბური | 9 | 0 | 4 | 5 | 7:16 | 4 |

## გია გურული დინამოს: თუ ითამაშებთ ვისლას, მოუგებთ სოშოს



რა გუნდია თბილისის „დინამოს" პირველი მეტოქე უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე? როგორ ფეხბურთს თამაშობს „სოშო"? რისი იმედი უნდა გვქონდეს ფრანგებთან 21 ოქტომბრის მატჩისას?

ამ და სხვა კითხვებით გუშინდელი კენჭისყრის შემდეგ საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწეს გია გურულს მივმართეთ. მოგეხსენებათ, გია უკვე საკმაო ხანია, საფრანგეთში ცხოვრობს და ჯერაც ერთადერთი ქართველია, ვისაც საფრანგეთის პირველ დივიზიონში უთამაშია — თავის დროზე „ლე ავრის" ფორვარდი იყო...

— „სოშო" სწრაფ და შემტევ ფეხბურთს თამაშობს. საოცრად ორგანიზებული გუნდია, მაღალ დონეზე აქვს სათამაშო დისციპლინა. საშინაო მატჩებისას „სოშო" მეტოქეს გამუდმებით უტევს, სტუმრად კი კონტრშეტევებზე თამაშობს. სწორედ კონტრშეტევებით არის ეს გუნდი გამორჩეული.

**— „სოშოს" გამორჩეული ფეხბურთელი ვინ არის?**

— არავინ. თანაბარი სიძლიერის ფეხბურთელებითაა ეს გუნდი დაკომპლექტებული. „სოშოს" მთელ საფრანგეთში ცნობილი საფეხბურთო სკოლა აქვს და მთავარ გუნდშიც უმეტესწილად თავიანთი აღზრდილი ფეხბურთელები ჰყავს. ლეგიონერებიდან კი ტუნისის მოქალაქე, ბრაზილიელი დუშ სანტუშია საყურადღებო თავდამსხმელი, საშიში ფეხბურთელია..

**— როგორ ფეხბურთს თამაშობს „სოშო"?**

— როგორ გითხრათ, ევროპულ ფეხბურთს თამაშობს. ტექნიკურ-ტაქტიკურ-ფიზიკურად თანაბრად მომზადებული გუნდია.

**— საფრანგეთში საშუალო დონის გუნდად ითვლება?**

— ბოლო წლებში საფრანგეთის ჩემპიონატის ექვსეულში მუდმივად არის. ფრანგულ გრანდებს — „მონაკოს" „ლიონს", „ლანსს", „მარსელს" ყველაზე მეტად სწორედ „სოშოსთან" თამაში უჭირთ.

**— „სოშო" პოლონურ „ვისლაზე" უკეთესი გუნდია?**

— დიახ. „ვისლას" თამაში თბილისში ვნახე, „სოშოს" რამდენიმე მატჩი კი საფრანგეთის ჩემპიონატში და გეტყვით, რომ „დინამოს" ახლა უფრო ძლიერი მეტოქე ჰყავს.

**— „დინამოს" „სოშოსთან" მატჩამდე რას ურჩევდით?**

— ითამაშოს ისეთივე თავდადებით, როგორც „ვისლასთან". თუ ასე იქნება, „დინამო" ფრანგებს მოუგებს. მთავარია, „დინამომ" პოლონელების დამარცხების შემდეგ აკრეფილი ტემპი არ დაკარგოს. „სოშო" სულაც არ არის ჩვენებისთვის დაუძლეველი გუნდი.

**კობა ინასარიძე**

# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი

## პანიონიოსი

ათენი, საბერძნეთი

დაარსდა 1890 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ელეფტერიოს პაგოზიდისი
მთავარი მწვრთნელი: კაროლ პეჩე
სტადიონი: „პანიონიოსი" (ტევადობა 11 700)
საბერძნეთის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1): 1971
საბერძნეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1): 1961
საბერძნეთის თასის მფლობელი (2): 1979, 1998
1998 წლის თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალისტი
თასების მფლობელთა თასზე: 10 მატჩი, 6 მოგება, 0 ფრე, 4 წაგება, ბურთები 15:15
უეფას თასზე: 10 მატჩი, 4 მოგება, 0 ფრე, 6 წაგება, ბურთები 9:21

# პირველად იყო მუსიკა

„პანიონიოსი" 1890 წელს შეიქმნა ათენის მახლობლად მდებარე საპორტო ქალაქ სმირნიში. იმდროინდელი საბერძნეთისთვის საფეხბურთო გუნდი უცხო ხილი იყო, თუმც ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ფეხმოკიდებულმა ფეხბურთმა თავისი გააკეთა.

უცნაურია ისიც, რომ „პანიონიოსის" შექმნა მუსიკოსებმა მოიფიქრეს — ჯგუფ „ორფეოსის" წევრებმა გადაწყვიტეს, თავიანთი სიტყვა სპორტშიც ეთქვათ და იდეას ფრთები მალევე შეასხეს.

მოკლედ, 1890 წელს სმირნის სანაპიროზე „პანიონიოსი" იშვა — ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და პოპულარული კლუბი საბერძნეთში.

ათენისა თუ სხვა ქალაქების პირველობებზე გუნდი სისტემატურად გამოდიოდა და თანდათან გულშემატკივრებიც უმრავლდებოდა, ამასობაში დამფუძნებლებმა გუნდს ფორმაც აურჩიეს და 1922 წლიდან „პანიონიოსის" ფერებად წითელი და ცისფერი ითვლება.

1939 წელი მნიშვნელოვანი იყო „პანიონიოსისთვის" — ქალაქისა და კლუბის ხელმძღვანელობამ სტადიონის აშენება გადაწყვიტა, მაგრამ... სტიქიური უბედურების შედეგად სმირნი თითქმის მთლიანად განადგურდა. „პანიონიოსი" იძულებული გახდა, საბინადრო შეეცვალა, თუმც შორს წასვლა არ მოუხდა — ქვეყნის თავებმა ათენის მახლობლად ახალი სმირნის გაშენება დაიწყეს. ერთი სიტყვით, „პანიონიოსი" ნიუ სმირნიში დასახლდა და სტადიონიც იქვე აიშენა — 11-ათასიანი „პანიონიოს სტადიუმი", რომელსაც 1998 წელს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და სადღეისოდ 11 700 კაცს იტევს.

1959 წლიდან „პანიონიოსი" საბერძნეთის ჩემპიონატში თამაშობს. მომდევნო, 1960-61 წლების სეზონში გუნდმა ბრინჯაოს მედალი აიღო, ზუსტად ათი წლის შემდეგ კი ვერცხლს დაეუფლა.

საინტერესოა, რომ ომისშემდგომ პერიოდში სამად-სამ ბერძნულ კლუბში თამაშობდა უცხოელი ფეხბურთელი, მათ შორის „პანიონიოსშიც".

ახლა ორიოდ სიტყვა ტიტულებზეც, მით უმეტეს, რომ ეს კლუბი ამ მხრივ ღარიბია — საბერძნეთის თასით თუ იწონებს თავს. 1979 წელს „პანიონიოსმა" ფინალში 3:1 მოუგო აეკ-ს; 1998-ში კი „პანათინაიკოსის" 1:0 ძლევით მეორედ ალმართა ქვეყნის თასი. საერთოდ, „პანიონიოსი" 5-ჯერ გავიდა ფინალში.

გარდა ამისა, „პანიონიოსის" მუზეუმში ბალკანეთის თასიც ინახება, ევროპაში კი უმაღლეს მიღწევად 1998 წელს თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში გასვლა მიიჩნევა.

1992 და 1996 წლებს პანიონიოსელები შავად იხსენებენ. სწორედ ამ წლებში ჩაფლავდა გუნდი და B დივიზიონში გავარდა, თუმც იქ ერთ წელზე მეტხანს არ დარჩენილა.

დღეს „პანიონიოსი" საშუალო დონის კლუბად ითვლება საბერძნეთში. ყოველ შემთხვევაში, გიჟსაც არ მოუვა აზრად, ეს გუნდი „ოლიმპიაკოსის", „პანათინაიკოსის", აეკის, „ქსანთის" და პაოკ-ის გვერდით დააყენოს.

2003-04 სეზონში „პანიონიოსი" საბერძნეთის ჩემპიონატში მე-6 ადგილზე გავიდა და უეფას თასის საგზურიც მოიპოვა. წილისყრის შემდეგ იმედი არავის ჰქონდა — „პანიონიოსს" იტალიური „უდინეზე" დაეჯახა.

პირველ მატჩში ბერძნებმა 3:1 სძლიეს მეტოქეს. ამ მატჩში ორი გოლი პანაიოტის იანოპულოსმა გაიტანა — სხვათა შორის, იგი ერთ-ერთი ყველაზე მხცოვანია გუნდში — 32 წლისაა. საერთოდ, „პანიონიოსი" ძალიან ახალგაზრდული გუნდია. თავად განსაჯეთ, იანოპულოსის კბილა მხოლოდ ორნი, მეკარე სორინ კოლჩეაგი და ნახევარმცველი ანდრეას ლაგონიკაკისი არიან, დანარჩენები კი უფრო გვიან მოევლინენ ქვეყანას.

„უდინეზეს" დავუბრუნდეთ. საშინაო 3:1-ის მერე „პანიონიოსმა" სტუმრად 0:1 დათმო და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა.

ეს წარმატება ბერძნებმა კაროლ პეჩეს მიაწერეს. 58 წლის სლოვაკი მწვრთნელი რამდენიმე თვეა, „პანიონიოსს" წვრთნის და უკვე შედეგიც არ დაეწუნება. პეჩე 1986-87 წლებში სლოვაკეთის 21-წლამდელთა ნაკრებს წვრთნიდა. 1986 წელს ჩეხოსლოვაკიის №2 მწვრთნელად დაასახელეს. „პანიონიოსამდე" კი შემდეგ კლუბებში უმუშავია: „ჟილინა", „სლოვანი", ჩვენთვის კარგად ნაცნობი „ვისლა", „კოშიცე", თურქული „გენჩლერბირლიგი" და „რიზესპორი", ბრატისლავას „ინტერი"...

ბოლოს კი ჩვენი ბერძენი კოლეგის კომენტარს გთავაზობთ, *კოსტას პანიოსის* გუშინ შევეხმიანეთ: „ვერ ვიტყვით, რომ წილისყრით უკმაყოფილონი ვართ. „პანიონიოსი" კარგი გუნდია, ბევრი ლეგიონერი ჰყავს, რამდენიმე საბერძნეთის ნაკრების კანდიდატიც. ბრძოლისუნარიანი გუნდია და ვფიქრობ, არაფერს დათმობს, გუნდის ლიდერი ურუგვაელი ხუან მარტინ პაროდია. ის არის მთელი „პანიონიოსის" იმედი".

ჩვენ კი გეტყვით, რომ ურუგვაელი პაროდის გარდა ინტერნაციონალურ „პანიონიოსში" ჩეხი, რუმინელი, ავსტრიელი, სერბი, ფრანგი და სლოვაკი ფეხბურთელებიც თამაშობენ.

**კახა შალამბერიძე**



პანაიოტის იანაპულოსმა (მარჯვნივ) საკუთარი კარიც კარგად დაიცვა და იტალიელებს ორი გოლიც გაუტანა



ბოლო ტურში „დინამო" ამ სტადიონზე ითამაშებს



„პანიონიოსის" სლოვაკები: თავდამსხმელი მარიო ბრეშკა და მწვრთნელი კაროლ პეჩე „უდინეზეს" გავლას ხარობენ

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | იაროსლავ დრობნი | 18.10.79 |
| 22 | დიმიტრიოს სოტირიუ | 13.09.87 |
| 35 | სორინ კოლჩიგი | 11.03.72 |
| | **მცველები** | |
| 2 | იოანის მანიატისი | 12.10.86 |
| 3 | ტრევის დოდი | 06.01.80 |
| 5 | პეტრ ვლჩეკი | 18.10.73 |
| 6 | პანაიოტის იანაპულოსი | 25.09.72 |
| 14 | ევრიპიდის მაკოსი | 18.01.87 |
| 17 | მიკო სმილიანიჩი | 04.09.74 |
| 21 | ნიკოს სპიროპულოსი | 10.10.83 |
| 24 | სავას ექსუზიდისი | 04.12.81 |
| 29 | ვაიოს სტოუბოსი | 02.02.86 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | ნიკოს სტამოსი | 12.07.87 |
| 8 | საშა ჟიმონჯიჩი | 09.04.78 |
| 9 | ფანურიოს გუნდულაკისი | 13.07.83 |
| 10 | ხუან მარტინ პაროდი | 22.09.74 |
| 11 | ანდრეას ლაგონიკაკისი | 04.06.72 |
| 15 | ჟილ დომორო | 15.02.79 |
| 16 | გეორგიოს ვიდალისი | 07.10.87 |
| 18 | ევანგელოს ციოლისი | 09.05.81 |
| 20 | კარლოს მარკორა | 01.02.76 |
| 23 | ალექსანდროს კარახალიოსი | 20.10.85 |
| 25 | ნიკოლაოს მიტრუ | 10.07.84 |
| 27 | გეორგიოს ქსიდისი | 23.02.80 |
| 30 | ალექსანდროს ციოლისი | 13.02.85 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | ლუბომირ მესაროში | 23.03.79 |
| 19 | დიმიტრიოს პაციავურასი | 14.07.83 |
| 26 | ევანგელოს მანციოსი | 22.04.83 |
| 28 | მარიო ბრეშკა | 27.12.79 |

**გზა ჯგუფურ ეტაპამდე**

პირველი რაუნდი

**უდინეზე (იტალია)** 3:1, 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| აეკ | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ეგალეო | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ხალკიდონა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ქსანთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ირაკლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| პაოკ | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| კალითეა | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 3 |
| პანიონიოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| იონიკოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| აპოლონი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| ოფი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| არისი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| კერკერა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ერგოტელისი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

# დინამო უეფას თასზე

**1972-73**

ოცდამეთორმეტედფინალი
ტვენტე (ჰოლანდია) 3:2, 0:2

**1973-74**

ოცდამეთორმეტედფინალი
სლავია (ბულგარეთი) 4:1, 0:2

მეთექვსმეტედფინალი
ბელგრადი (იუგოსლავია) 3:0, 5:1

მერვედფინალი
ტოტენჰემი (ინგლისი) 1:1; 1:5

**1977-78**

ოცდამეთორმეტედფინალი
ინტერი (იტალია) 1:0, 0:0

მეთექვსმეტედფინალი
ბკ კოპენჰაგენი (დანია) 4:1, 2:1

მერვედფინალი
გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:0, 0:4

**1978-79**

ოცდამეთორმეტედფინალი
ნაპოლი (იტალია) 2:0, 1:1

მეთექვსმეტედფინალი
ჰერტა (გერმანია) 0:2, 1:0

**1982-83**

ოცდამეთორმეტედფინალი
ნაპოლი (იტალია) 2:1, 0:1

**1987-88**

ოცდამეთორმეტედფინალი
ლოკომოტივი (ბულგარეთი) 1:3, 3:0

მეთექვსმეტედფინალი
ვიქტორია (რუმინეთი) 2:1, 0:0

მერვედფინალი
ვერდერი (გერმანია) 1:2, 1:1

**1994-95**

საკვალიფიკაციო ეტაპი
უნივერსიტატია (რუმინეთი) 2:0, 2:1

ოცდამეთორმეტედფინალი
ტიროლი (ავსტრია) 1:0, 1:5

**1995-96**

საკვალიფიკაციო ეტაპი
ბოტევი (ბულგარეთი) 0:1, 0:1

**1996-97**

I საკვალიფიკაციო ეტაპი
ბრევენმახერი (ლუქსემბურგი) 4:0, 2:2

II საკვალიფიკაციო ეტაპი
მიოლდე (ნორვეგია) 2:1, 0:0

ოცდამეთორმეტედფინალი
ტორპედო (რუსეთი) 1:0, 1:1

მეთექვსმეტედფინალი
ბოავიშტა (პორტუგალია) 1:0, 0:5

**1997-98**

ოცდამეთორმეტედფინალი
მპკც (ბელარუსი) 1:1, 1:0

მეთექვსმეტედფინალი
ბრაგა (პორტუგალია) 0:4, 0:1

**2001-02**

საკვალიფიკაციო ეტაპი
ბატე (ბელარუსი) 2:1, 0:4

**2002-03**

I საკვალიფიკაციო ეტაპი
ტვმკ (ესტონეთი) 4:1, 1:0

II საკვალიფიკაციო ეტაპი
ლიბერეცი (ჩეხეთი) 2:3, 0:1

**დინამო და ოთხეულის კლუბები ევროთასებზე**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:10 |
| პორტუგალია | 4 | 1 | 0 | 3 | 1:10 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 |



პირველად იყო ტვენტე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტოტენჰემი და კახი ასათიანის გოლი



დინამომ ინტერი თბილისიდან უგოლოდ გაუშვა



პირველი შეყრა ნაპოლისთან იტალიელთა მარცხით დასრულდა





ორი წლის წინ დინამომ ლიბერეცს ვერ აჯობა, წლეულს კი ვისლა გადალახა

# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) | | | | | | | | | | | |
| 2 | შალკე (გერმანია) | | | | | | | | | | | |
| 3 | ბაზელი (შვეიცარია) | | | | | | | | | | | |
| 4 | ჰარტსი (შოტლანდია) | | | | | | | | | | | |
| 5 | ფერენცვაროში (უნგრეთი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 21 ოქტომბერი | ფეიენოორდი — ჰარტსი<br>შალკე — ბაზელი |
| 4 ნოემბერი | ჰარტსი — შალკე<br>ფერენცვაროში — ფეიენოორდი |
| 25 ნოემბერი | ბაზელი — ჰარტსი<br>შალკე — ფერენცვაროში |
| 1 დეკემბერი | ფერენცვაროში — ბაზელი<br>ფეიენოორდი — შალკე |
| 16 დეკემბერი | ბაზელი — ფეიენოორდი<br>ჰარტსი — ფერენცვაროში |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პარმა (იტალია) | | | | | | | | | | | |
| 2 | ბეშიქთაში (თურქეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | ბილბაო (ესპანეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | სტიაუა (რუმინეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | სტანდარდი (ბელგია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 21 ოქტომბერი | ბილბაო — პარმა<br>სტიაუა — სტანდარდი |
| 4 ნოემბერი | პარმა — სტიაუა<br>ბეშიქთაში — ბილბაო |
| 25 ნოემბერი | სტანდარდი — პარმა<br>სტიაუა — ბეშიქთაში |
| 1 დეკემბერი | ბეშიქთაში — სტანდარდი<br>ბილბაო — სტიაუა |
| 16 დეკემბერი | სტანდარდი — ბილბაო<br>პარმა — ბეშიქთაში |

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრიუგე (ბელგია) | | | | | | | | | | | |
| 2 | სარაგოსა (ესპანეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | უტრეხტი (ჰოლანდია) | | | | | | | | | | | |
| 4 | დნიპრო (უკრაინა) | | | | | | | | | | | |
| 5 | აუსტრია (ავსტრია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 21 ოქტომბერი | სარაგოსა — უტრეხტი<br>დნიპრო — ბრიუგე |
| 4 ნოემბერი | უტრეხტი — დნიპრო<br>აუსტრია — სარაგოსა |
| 25 ნოემბერი | ბრიუგე — უტრეხტი<br>დნიპრო — აუსტრია |
| 1 დეკემბერი | აუსტრია — ბრიუგე<br>სარაგოსა — დნიპრო |
| 16 დეკემბერი | ბრიუგე — სარაგოსა<br>უტრეხტი — აუსტრია |

| № | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაციო (იტალია) | | | | | | | | | | | |
| 2 | ვილიარეალი(ესპანეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | მიდლსბრო (ინგლისი) | | | | | | | | | | | |
| 4 | პარტიზანი (სერბეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | ეგალეო (საბერძნეთი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 21 ოქტომბერი | ეგალეო — მიდლსბრო<br>ლაციო — ვილიარეალი |
| 4 ნოემბერი | მიდლსბრო — ლაციო<br>პარტიზანი — ეგალეო |
| 25 ნოემბერი | ვილიარეალი — მიდლსბრო<br>ლაციო — პარტიზანი |
| 1 დეკემბერი | პარტიზანი — ვილიარეალი<br>ეგალეო — ლაციო |
| 16 დეკემბერი | ვილიარეალი — ეგალეო<br>მიდლსბრო — პარტიზანი |

| № | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეინჯერსი (შოტლანდია) | | | | | | | | | | | |
| 2 | ოსერი (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | გრაცერი (ავსტრია) | | | | | | | | | | | |
| 4 | ამიკა (პოლონეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | ალკმაარი (ჰოლანდია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 21 ოქტომბერი | ოსერი — გრაცერი<br>ამიკა — რეინჯერსი |
| 4 ნოემბერი | გრაცერი — ამიკა<br>ალკმაარი — ოსერი |
| 25 ნოემბერი | რეინჯერსი — გრაცერი<br>ამიკა — ალკმაარი |
| 1 დეკემბერი | ალკმაარი — რეინჯერსი<br>ოსერი — ამიკა |
| 16 დეკემბერი | რეინჯერსი — ოსერი<br>გრაცერი — ალკმაარი |

| № | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | შტუტგარტი (გერმანია) | | | | | | | | | | | |
| 2 | ბენფიკა (პორტუგალია) | | | | | | | | | | | |
| 3 | დინამო (ხორვატია) | | | | | | | | | | | |
| 4 | ჰერენვენი (ჰოლანია) | | | | | | | | | | | |
| 5 | ბევერენი (ბელგია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 21 ოქტომბერი | ბევერენი — შტუტგარტი<br>ბენფიკა — ჰერენვენი |
| 4 ნოემბერი | შტუტგარტი — ბენფიკა<br>დინამო — ბევერენი |
| 25 ნოემბერი | ჰერენვენი — შტუტგარტი<br>ბენფიკა — დინამო |
| 1 დეკემბერი | დინამო — ჰერენვენი<br>ბევერენი — ბენფიკა |
| 16 დეკემბერი | ჰერენვენი — ბევერენი<br>შტუტგარტი — დინამო |

| № | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აეკ (საბერძნეთი) | | | | | | | | | | | |
| 2 | ლილი (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | სევილია (ესპანეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | ალემანია (გერმანია) | | | | | | | | | | | |
| 5 | ზენიტი (რუსეთი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 21 ოქტომბერი | ალემანია — ლილი<br>ზენიტი — აეკ |
| 4 ნოემბერი | ლილი — ზენიტი<br>სევილია — ალემანია |
| 25 ნოემბერი | აეკ — ლილი<br>ზენიტი — სევილია |
| 1 დეკემბერი | სევილია — აეკ<br>ალემანია — ზენიტი |
| 16 დეკემბერი | აეკ — ალემანია<br>ლილი — სევილია |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოეფერეთ კასანოს, მოსთხოვეთ ტოტის

**მარჩელო ლიპი ამბობს, რომ ანტონიო კასანო „სკუადრა აძურას“ მომავალია, ამის თქმა კი მას იმიტომ დასჭირდა, რომ ამ ეტაპზე, სლოვენიასა და ბელარუსთან შესარჩევი მატჩებისთვის „რომას“ თავდამსხმელი არ გამოიძახა და ამით დიდი ხმაური თუ არა, გაკვირვება ნამდვილად გამოიწვია.**

„მომავალში ანტონიოს იმდენჯერ მოუწევს ნაკრებში თამაში, რომ შეიძლება მობეზრდეს კიდეც — განაცხადა ტაქტიკოსმა — ამჯერად კი იმიტომ არ გამოვიძახე, რომ სეზონი ტრავმის გამო სხვებზე გვიან დაიწყო და შესაბამისად საუკეთესო ფორმაში ჯერ ვერ არის. გულწრფელად გეუბნებით, მე კასანოს გულშემატკივარი და დამფასებელი ვარ და ერთი სული მაქვს, როდის დაბრუნდება „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში. იტალიის ნაკრები ასეთი დიდი ნიჭის თავდამსხმელს ვერ შეელევა“.

შეგახსენებთ, რომ 22 წლის ფორვარდს „რომას“ წინა, ცოტა ხნით მისულ მწვრთნელთან, რუდი ფიოლერთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა და კარგად არც ახალ თავკაცთან, ლუიჯი დელ ნერისთან აეწყო ურთიერთობა — ბოლო ტურში, „ინტერთან“ იგი შეცვალეს, რამაც ფეხბურთელი ალაშფოთა და გაბრაზებული გავარდა გასახდელში. ამ საქციელისთვის, სხვათა შორის, კასანო „რომას“ ქომაგებმა დიდი სტვენით გააცილეს და ისევ იმ დელ ნერის დასაცავი გახდა.

„მეწყინა ქომაგებმა რომ უსტვინეს, რადგან კასანო ის ადამიანია, რომელზეც კრიტიკა ცუდად მოქმედებს. თუ მისგან შედეგი გინდა, უნდა წაახალისო. რაც შეეხება იმას, რომ ლიპიმ ნაკრებში არ წაიყვანა, ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალში წაიყვანს. ისეთი მონაცემების ფეხბურთელია, რომ მისი ერთხელ არგამოძახება არაფერს ნიშნავს“.

და მარჩელო ლიპიმ კასანოს არყოფნაში ფრანჩესკო ტოტიზე დაამყარა იმედი. მწვრთნელი იმედოვნებს, რომ უახლოეს ათ დღეში „რომას“ კაპიტანმა მისი გუნდისთვის გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს. საინტერესოა, რომ ტოტის ლიპის ხელმძღვანელობით ჯერ არ უთამაშია.

„მიხარია, ტოტი ჩემს განკარგულებაში რომ არის, განსაკუთრებით მისი დღევანდელი მდგომარეობა მახარებს. მან „ინტერთან“ მართლა ძალიან კარგად ითამაშა და საქმისადმი დიდი ერთგულებაც გამოამჟღავნა. აშკარაა, რომ ტოტი ისევ საუკეთესო ფორმაში შედის. ის ჩინებულად მოქმედებს მოედანზე, ხოლო ბოლო ტურში გოლიც ფანტასტიკური გაიტანა და რამდენიმე ბრწყინვალე მომენტიც შექმნა. ერთი სიტყვით, მართალია, მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ცალკე აღებულ რომელიმე ფეხბურთელზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობის დაკისრება არ მინდა, მაგრამ ტოტისგან ზუსტად ამ განსაკუთრებული, განსხვავებულ მომენტებს ველოდებით“.

შეგახსენებთ: ტოტიმ სექტემბერში ნორვეგიასა და მოლდოვასთან თამაშები გამოტოვა, რისი მიზეზიც დისკვალიფიკაცია და ტრავმა გახლდათ, მაგრამ ნაკრებმა მის გარეშეც მოახერხა გამარჯვება.





„მინდა გუნდმა ზუსტად იმ ადგილიდან გააგრძელოს, სადაც შეწყვიტა — განაგრძო ლიპიმ — იმედი მაქვს, ფეხბურთელებს მაშინდელი გუნება-განწყობით ვნახავ. იმედი მაქვს აგრეთვე, რომ ის ფეხბურთელები, რომლებიც მე გამოვიძახე, კარგ ფორმაში არიან. ერთი სიტყვით, ბოლო ორ თამაშთან შედარებით შემადგენლობის დიდად შეცვლას არ ვაპირებ“.

მეორე მხრივ, გარდა ანტონიო კასანოსი, თვალშისაცემი გახლდათ ფაბრიციო მიკოლისა და ანდრეა პირლოს დატოვებაც.

ლიპიმ განმარტა: „ჩვენ ვმონაწილეობთ შეჯიბრებაში, რომელიც ორ წელიწადს გრძელდება და აქედან გამომდინარე, გონებაში რაღაც ზოგადი ძირითადი შემადგენლობა ვერ გეყოლება. ძირითადი შემადგენლობა ყოველ დროს და მატჩს თავისი აქვს. მხოლოდ მას მერე, რაც შესარჩევ შეჯიბრებას გავივლით და ძირითადი ტურნირის წინაშე დავდგებით, დავიწყებ შესაძლო, რეგულარულ ძირითად შემადგენლობაზე ფიქრს“.

**ბაბუნა ძედია**



# ბარსა ზამთარში ედუს მიაკითხავს

„ბარსელონას“ ლაზარეთი უჩვეულოდ გადაიტვირთა. აქამდე დაშავებულ ტიაგო მოტას, გაბრის, ხორკერასა და სილვინიოს „ნუმანსიასთან“ მატჩში დაშავებული ბრაზილიელი ედმილსონიც შეემატა და „ბარსას“ თავკაცობაც იძულებული გახდა, ძალების მოსაკრებად მსოფლიოს საფეხბურთო ბაზარს მიაკითხოს.

გუშინ კატალონიელთა ტექნიკურმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა **BARCELONA TELEVISIO**-თვის მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ ტრავმების გამო წარმოქმნილი პრობლემები მხოლოდ ახალი ფეხბურთელის მოყვანით მოგვარდება. „ნახევარდაცვაში ორი ძირითადი მოთამაშე დიდი ხნით გამოგვაკლდა, ამიტომაც სამომავლო უსიამოვნო შედეგების თავიდან ასაცილებლად იანვარში სატრანსფერო ამბებზე ზრუნვა მოგვიწევს“ — განაცხადა „ბარსას“ დირექტორმა.

ესპანურ პრესას სავარაუდო ბარსელონელად ლონდონის „არსენალის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი ედუ მიაჩნია, რომელმაც ცოტა ხნის წინ „მეთოფეებთან“ კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი განაცხადა და მწვრთნელ არსენ ვენგერთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა. გარდა ამისა, ასახელებენ ჰოლანდიური პსვ-ს მარკ ვან ბომელსა და არგენტინული „რივერ პლეიტის“ ხავიერ მასკერანოს.

**ლადო ხომერიკი**

# მომეცით შანსი

**მაიკლ ოუენზე** ბოლო დროს, მოგეხსენებათ, ხმები დაირხა, რომ „რეალიდან“ შეიძლება ისევ „ლივერპულში“ დაბრუნდეს. მოგეხსენებათ ისიც, რომ ოუენი მადრიდში სულ რამდენიმე თვის გადასულია, „რეალში“ კი კრიზისია. თავად ინგლისელიც თითქოს ვერ ეგუება ახალ გარემოს და ეს ყველაფერი უამრავი ეჭვის გამოთქმის საბაბს იძლევა, მაგრამ ოუენმა პასუხად ასე განაცხადა:

„ვიცი, რასაც ლაპარაკობენ ჩემს შესახებ ინგლისში და ძალიან მწყინს ხალხი უფრო მეტად რომ არ მიჭერს მხარს. არადა მეგონა, რომ ჩვენს საუკეთესო ფეხბურთელებს უცხოეთში თავის გამოჩენაში ძალიან ვუჭერდით მხარს. მომეცით შანსი. ესპანეთში მხოლოდ ორი თვეა, რაც ვცხოვრობ და აქედან წასვლაზე ერთხელაც არ მიფიქრია“.

მოგეხსენებათ, იყო საუბარი იმის შესახებაც, რომ ვინაიდან ოუენი „რეალის“ ძირითადის მუდმივი წევრი არ არის, იგი ინგლისის ნაკრებში დაკარგავს ადგილს.

„ინგლისის ნაკრებში ჩემს ყოფნას არაფერი ემუქრება, თუმცა იმ მიზეზების ჩამოწერა, თუ რატომ ვფიქრობ ასე, ჩემს პროფესიაში არ შედის. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ ის არის, რომ მე დიდ მატჩებსა და დიდ შეჯიბრებებში გოლების გატანის ძალიან კარგი რეკორდი მაქვს. იმედი მაქვს, რომ სანაკრებოდ ჯანზე ვიქნები და თუ ასე იქნა, მერე ნახავს ყველა მაკლია სათამაშო გამოცდილება თუ არა. თუ არ ვცდები, ამ სეზონში უეინ რუნიზე, რიო ფერდინანდზე და სოლ კემპბელზე მეტი ვითამაშე“.

არადა, ოუენის ძმაკაცი, სტივენ ჯერარდი წინა დღეს ჟურნალისტებს ეუბნებოდა, ოღონდ კი მაიკლი დაბრუნდეს და მე გაშლილი მკლავებით შევეგებებიო.

**ბაბუნა ძედია**



## ინგლისი

### პრემიერლიგა. VIII ტური

**კრისტალ პალასი 2:0 ფულემი**

1:0 ჯონსონი (53), 2:0 რიიჰილაჰტი (69)

**კრისტალ პალასი:** კირალი, ბოისი, პოპოვიჩი, ჰალი (სორონდო 46), გრენვილი, უოტსონი, რუტლეჯი (ლაკისი 72), რიიჰილაჰტი (კავიედესი 74), ს. ჰიუზი, კოლკა, ე. ჯონსონი

მწვრთნელი: იან დოუვი

**ფულემი:** ვან დერ სარი, ვოლცი, პირსი, ნაითი, მ. გრინი, მალბრანკი, მაკკინლი, პემბრიჯი, ბოა მორტე, მაკბრაიდი (კ. ჯონი 62), რაძინსკი (გომა 9; ბოკანეგრა 62)

მწვრთნელი: კრის კოუმენი

გაფრთხილება: ჯონსონი, ბოკანეგრა

გაძევება: პირსი (6)

მსაჯი: რაილი

21 825 მაყურებელი

# პირველი პალასი



„კრისტალ პალასის" მეგოლეები: რიიჰილაჰტი და ჯონსონი

„კრისტალ პალასი" დაიძრა პრემიერლიგის ბოლო ადგილიდან მას შემდეგ, რაც ამ ლიგაში ყოფნის რვა ტურის განმავლობაში პირველად გაიმარჯვა.

„პალასმა" 2:0 მოუგო ათკაციან „ფულემს" და ეს გამარჯვება ალალად ეკუთვნოდა. უკვე მე-5 წუთზე ფულემელ სტუმრებს იან პირსი გაუძევეს კარისკენ მიმქროლავი ენდი ჯონსონის მოცელვისთვის. თუმც „პალასს" გოლის ლოდინი კარგა ხანს მოუხდა: მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა იმავ ჯონსონმა მაზვილი კუთხიდან ფეხებს შუა გაუძვრინა ბურთი ედვინ ვან დერ სარს. საგოლე გადაცემის ავტორი კი ფინელი აკი რიიჰილაჰტი იყო, ვინც მეორე ტაიმის შუაში თავადაც გაიტანა — პირველად 2002 წლის ნოემბრის შემდეგ. „ფულემი" კი ეცადა რაღაცეებს ტომაშ რაძინკისა და ალან გომას შემოყვანით, მაგრამ რიიჰილაჰტის თავურმა წელში გასწყვიტა.

„კრისტალ პალასი" ბოლო ადგილს მოშორდა და იქ „ნორვიჩი" დატოვა, მენეჯერმა იან დოუვიმ ღმერთს მადლობა შესწირა პირველი გამარჯვებისთვის და თქვა, წინა ორ თამაშშიც უნდა მოგვეგოო.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 8 | 7 | 1 | 0 | 26:7 | 22 |
| ჩელსი | 8 | 6 | 2 | 0 | 8:1 | 20 |
| ევერტონი | 8 | 5 | 1 | 2 | 9:7 | 16 |
| მანჩესტერი | 8 | 3 | 4 | 1 | 9:7 | 13 |
| ტოტენჰემი | 8 | 3 | 4 | 1 | 5:3 | 13 |
| ნიუკასლი | 8 | 3 | 3 | 2 | 16:13 | 12 |
| ბოლტონი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:11 | 12 |
| ასტონ ვილა | 8 | 2 | 5 | 1 | 10:9 | 11 |
| მიდლსბრო | 8 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 11 |
| ჩარლტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:14 | 11 |
| ლივერპული | 7 | 3 | 1 | 3 | 10:6 | 10 |
| სიტი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:7 | 8 |
| პორტსმუთი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:11 | 8 |
| ფულემი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:13 | 8 |
| ბირმინგემი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:9 | 7 |
| ვესტ ბრომვიჩი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:13 | 7 |
| ბლექბერნი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:14 | 6 |
| საუთჰემპტონი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:11 | 5 |
| კრ. პალასი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:14 | 5 |
| ნორვიჩი | 8 | 0 | 5 | 3 | 7:14 | 5 |

# რა მოგიგია, ბიჭო?!



გრემ სუნესი



რობი სევიჯი

ორი მაჩხუბარა კაცი გადაეკიდა ერთმანეთს.

კვირას „სენტ ენდრიუსზე" ძაან თამაში გამოვიდა „ბირმინგემსა" და „ნიუკასლს" შორის და ფრედ 2:2 დასრულდა. ამბავი კი „სენტ ენდრიუსისავე" გვირაბში მოხდა, სადაც, თავისი ჩხუბებითა და გაწევ-გამოწევებითაც განთქმულ „ნიუკასლის" მწვრთნელ გრემ სუნესს ვილაცის ხმა შემოესმა:

— ნიუკასლელები მწუწნელები არიან.

ეს იყო ხმა ასევე ცნობილი ჩხუბისთავის, რობი სევიჯისა, რომელსაც ეწყინა, რომ მან და მისმა გუნდმა ჯორდებს ვერ მოუგეს.

სუნესი, რა თქმა უნდა, გაუჩერდა სევიჯს, რომელმაც შეუყვირა:

— შენ რა მწვრთნელი ხარ?! ველარავინ იპოვეს და იმიტომ დაგნიშნეს.

— შენ კიდევ, ძალიან მაგარი ფეხბურთელი ხარ, არა?— გაეცინა სუნესს.

— შენზე მაგარი ყოველთვის ვიყავი.

იღრიალა სევიჯმა და გასახდელისკენ წავიდა. სუნესი ეტყობა საქმის მუღამში მოვიდა და გამოედევნა ფეხბურთელს.

— სად გითამაშია, ბიჭო?!

ჰკითხა ისევ დაცინვით.

— ისიც მითხარი, რა მოგიგია ცხოვრებაში, თორემ აღარ მახსოვს.

სევიჯს შეეძლო ეპასუხა, რომ 1992 წელს ყმაწვილთა თასი მოუგია, მერე კი „მანჩესტერ იუნაიტედიდან" დაითხოვეს როგორც უვარგისი ჭაბუკი. სუნესს კი „ლივერპულში" 3 ევროთასი, 5 ჩემპიონობა და სხვა ათასი რამ მოუგია. მათ ფეხბურთელობაში ვერც კი შევადარებთ.

ოღონდაც, ამ ამბის ინტრიგა სხვაგან იყო: „ბირმინგემის" რიგებში იყვნენ დუაიტ იორკი და დევიდ დანი, რომელთაგან პირველი სუნესმა თავად გააგდო გუნდიდან, მეორე კი გაექცა, როცა სუნესი „ბლექბერნის" თავკაცი იყო. იორკმა გოლიც გაუტანა ძველი ბოსის გუნდს, დანმა კი, რომელიც თამაშის მიწურულს შეცვალეს, ხელი არ ჩამოართვა მოედნის კიდეზე შეყრილ სუნესს. თამაშის ბოლოსვე, სუნესი პენალტს ითხოვდა და გინებ- გინებით შევიდა გვირაბში, სადაც მას სევიჯი წამოეწია, რომელიც მასზე უკეთესი ფეხბურთელი ყოფილა.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ჯეიმი რედნაპს სასჯელი ელის

შაბათ საღამოს „ტოტენჰემის" კაპიტანმა ჯეიმი რედნაპმა წვივში ჩასცხო ფეხი ევერტონელ ტიმ ჩეჰილს, ისე, რომ ეს უკანასკნელი შესაცვლელი შეიქნა.

რედნაპის უხეშობას მოედანზე არაფრით გამოეხმაურა მსაჯი გრემ პოლი, თუმც, თამაშის შემდეგ ვიდეოფირი ნახა და თავის ანგარიშის ფურცელს საგანგებო განმარტებაც დაურთო.

რედნაპი, რომელიც საერთოდ არ არის უხეში ფეხბურთელი და მთელი ცხოვრება აქეთ ამტვრევდნენ, ძალიან შეწუხდა, რომ ასე მოუხდა, თუმცა, ფეხბურთის ასოციაცია უახლოეს ორ კვირაში მაინც განიხილავს მის საქმეს და სავარაუდოდ დასჯის კიდეც.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

### ლიგის თასი
